ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. ბათუმი

N 55
06/11/2018

55-09-4-201811061030

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ, აჭარის ა/რ ტერიტორიაზე სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის (ხელვაჩაურის სატყეო ადმინისტრაცია, თხილნარის სატყეოს კვარტალი N12, 2874 კვ.მ ფართობი, ს/კ № 22.28.07.345.) სასოფლო -სამეურნეო მიზნით სარგებლობისათვის ელექტრონული აუქციონის ფორმით ტყითსარგებლობაში 5 (ხუთი) წლის ვადით გაცემის შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 51-ე მუხლის, სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის 1^1 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ N242 დადგენილების მე-3, 43 - 46-ე, 47-ე, 48 -ე 49-ე, 52-ე, 53-ე, 57-ე მუხლების, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, ,,სახელწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელქტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აჭარის სატყეო სააგენტოს შექმნის შესახებ ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 7 დეკემბრის N55 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის აჭარის სატყეო სააგენტოს დებულების (დანართი 1) მე–9 მუხლის მე–2 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე


ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აჭარის ა/რ ტერიტორიაზე სახელმწიფო ტყის ფონდში შემავალი ტერიტორია გაიცეს სასოფლო - სამეურნეო ტყითსარგებლობით მიზნით (მეფუტკრეობა, ერთწლიანი სასოფლო კულტურების მოყვანა), ელექტრონული აუქციონის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით, მდებარე: ხელვაჩაური სატყეო ადმინისტრაცია, თხილნარის სატყეოს N12 კვარტალი 2874 კვ.მ. ფართობი (საკადასტრო კოდი: **№22.28.07.345).**

2. ელექტრონული აუქციონის ფასი განისაზღვროს წლიურად 605 (ექვსას ხუთი) ლარის ოდენობით;
3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბე განისაზღვროს: 121(ას ოცდაერთი) ლარის ოდენობით;
4. ელექტრონული აუქციონის ვაჭრობის ბიჯი განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;
5. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ელექტრონული ვაჭრობის შედეგად მის მიერ საბოლოო დაფიქსირებული თანხის სრულად გადახდა უნდა უზრუნველყოს აჭარის სატყეო სააგენტოს ანგარიშზე მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიშის **N740397019** მ/ბ სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდიTRESGE22.
6. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს ერთი წლის თანხის სრულად გადახდა, რის შემდეგაც მასთან გაფორმდება სასოფლო - სამეურნეო მიზნით ტყითსარგებლობის ხელშეკრულება;
7. ელექტრონული აუქციონის საქმეს მიენიჭოს ნომერი 01- 43/16.
8. ელექტრონული აუქციონის ჩატარების თაობაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით ინფორმაციის გამოქვეყნება ინტერნეტგვერდზე – www.eauction.ge დაევალოს ეკონომიკურ სამსახურს.
9. ფინანსური ოპერაციების შესრულება დაევალოს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს ეკონომიკურ სამსახურს;
10. ბრძანების სათანადო პირებისადმი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს;
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საფუძველი: მოქალაქე ზურაბ მექურიძის (პ/ნ 61006000934) 2018 წ 20 აპრილის N628/09, 03 მაისის N712/09 და 06 ივლისის 2018 წლის N1142/09 წერილები; სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 13 ივლისი N5/39666 წერილი; სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს ტყის მართვის სამსახურის უფროსის N877 - 09 მოხსენებითი ბარათი (17/07/2018წ). სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 19 ოქტომბრის N007333418 დასკვნა; ეკონომიკური სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსის 2018 წლის 25 ოქტომბრის N1393-09 მოხსენებითი ბარათი.

თემურ ყურშუბაძე



სააგენტოს უფროსი
ხელმძღვანელობა